

ანგარიში

2017 წლის 17 იანვრიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების (მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების) შესახებ

1. საშინაო პოლიტიკა (1-7)
2. საგარეო პოლიტიკა (7-12)
3. ადამიანთა უფლებები (12-17)
4. ეკონომიკა (18)
5. ეკოლოგია (19-20)
6. პასპორტიზაცია (20)

„აფხაზეთში პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია იწყება“

ოკუპირებულ აფხაზეთში დაგეგმილი ე.წ. საპარლამენტო არჩევნებისთვის 21 იანვარს პოლიტიკური პარტიების და საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაცია იწყება.

ე.წ. მე - 6 მოწვევის საპარლამენტო არჩევნები 12 მარტს გაიმართება.

შესაბამის ბრძანებას დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ გასული წლის დეკემბერში მოაწერა ხელი.

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თამაზ გოგიას, განცხადებით 10 მოქმედი პოლიტიკური პარტიიდან მხოლოდ 8 პარტიას ექნება შესაძლებლობა წარადგინოს ე.წ. პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატები. ესენია:

1. „აფხაზეთის სახალხო პარტია“ (თავმჯდომარე იაკუბ ლაკობა)
2. „აფხაზეთის კომუნისტური პარტია“ (თავმჯდომარე ლევ შამბა)
3. „სახალხო ერთობის ფორუმი“ (თავმჯდომარე დაურ არშბა)
4. „აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტია“ (თავმჯდომარე ბესლან ბუტბა)
5. „ერთიანი აფხაზეთი“ (თავმჯდომარე სერგეი შამბა)
6. „ამცახარა“ (თავმჯდომარე ალხაზ კვიცინია)
7. „აინარი“ (თავმჯდომარე თენგიზ ჯოპუა)
8. „აფხაზეთის სახალხო ფრონტი სამართლიანობისა და განვითარებისთვის“

(თანათავმჯდომარეები მანანა კვიცინია, ლაშა სექანია, ბესლან კამკია, სურენ როგონიანი და ილია შედანია)

დე-ფაქტო აფხაზეთში, ე.წ. საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილი ბოლო ცვლილებების შესაბამისად დეპუტატობის კანდიდატებად ვერ დრეგისტრირდებიან დე-ფაქტო აფხაზეთის ის მოქალაქეები, რომელთაც არჩევნების დღისთვის გაქარწყლებული არ აქვთ ნასამართლეობა. აგრეთვე, იკრძალება ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ქრონიკული ფსიქიკური შეშლილობით დაავადებული მოქალაქეების არჩევა ე.წ. პარლამენტის დეპუტატად.

17.01.2017Абхазия-Информ<http://abkhazinform.com/item/5183-8-iz-10-politicheskikh-partij-abkhazii-imeyut-pravo-vydvizheniya-kandidatov-v-deputaty-parlamenta>

„ აფხაზეთში ახალი გენერალური პროკურორი დაინიშნა ‘

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. გენერალურ პროკურორად ზურაბ აჩბა დაინიშნა. მის კანდიდატურას ე.წ. პარლამენტის 23-მმა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. სამმა თავი შეიკავა. შეთანხმებას ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურის შესახებ ე.წ. ოპოზიციურმა და სახელისუფლებო ძალებმა 2016 წლის 19 დეკემბერს მიაღწიეს. მაშინ ხელი მოეწერა დოკუმენტს „საზოგადოებრივ - პოლიტიკური სტაბილურობის შესახებ“.

აგრეთვე, ე.წ. პარლამენტის გადაწყვეტილებით, ზურაბ აჩბას წინამორბედი ნური ტანია ე.წ. დეპუტატთა ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა დე-ფაქტო აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ.

18.01.2017 [АпсныПресс](http://www.apsnypress.info/news/zurab-achba-izbran-na-dolzhnost-generalnogo-prokurora-abkhazii/)<http://www.apsnypress.info/news/zurab-achba-izbran-na-dolzhnost-generalnogo-prokurora-abkhazii/>

„აფხაზეთში საარსებო მინიმუმი 6,2% - ით გაიზარდა“

დე-ფაქტო აფხაზეთში მცხოვრები შრომისუნარიანი ადამიანის საარსებო მინიმუმმა 2017 წლის 1 იანვრის მონაცემებით – 6549,6 რუბლი (დაახლოებით 110 აშშ დოლარი) შეადგინა. საარსებო მინიმუმი მოიცავს 4479,9 რუბლის ოდენობის სასურსათო პროდუქტებს, 1283,7 ოდენობის - არა სასურსათო პროდუქტებს, 786,0 რუბლის ოდენობის - ფასიან მომსახურებას და აუცილებელ გადასახადებს.

დე- ფაქტო აფხაზეთის სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, აფხაზეთში საარსებო მინიმუმის რაოდენობა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 6,2% - ით გაიზარდა.

23.01.2017 [аиааира](http://www.aiaaira.com/news/economy/prozhitochnyy_minimum_vozros_na_6_2/)http://www.aiaaira.com/news/economy/prozhitochnyy_minimum_vozros_na_6_2/

„აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. ცსკო-ს განცხადებით, დღევანდელი დღისთვის ე.წ. პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატებად წარსადგენად დარეგისტრირებულია 85 საინიციატივო ჯგუფი. აგრეთვე, პოლიტიკურმა პარტია „აინარმა“ დეპუტატობის 8 კანდიდატი წარადგინა.

აღსანიშნავია, რომ დეპუტატობის კანდიდატების წარსადგენად საინიციატივო ჯგუფების და პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია 21 იანვარს დაიწყო და 10 თებერვალს დასრულდება.

26.01.2017 [АпсныПресс](http://www.apsnypress.info/news/tsik-zaregistrirovano-85-initsiativnykh-grupp-po-vydvizheniyu-kandidatov-v-deputaty-parlamenta/)<http://www.apsnypress.info/news/tsik-zaregistrirovano-85-initsiativnykh-grupp-po-vydvizheniyu-kandidatov-v-deputaty-parlamenta/>

„სამეცნიერო-შემოქმედებითი ინტელიგენციის მიმართვა აფხაზეთის ექს-პრეზიდენტისადმი“

მიმართვაში, რომელსაც დე-ფაქტო აფხაზეთის სამეცნიერო-შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები აწერენ ხელს ნათქვამია:

„ბ-ნო ალექსანდრე! ჩვენსა თქვენს სამშობლოში ამა წლის მარტში გაიმართება აფხაზეთის სახალხო კრების-პარლამენტის არჩევნები. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ხელისუფლების ერთერთ შტოში წარმოდგენილი უნდა იყოს აფხაზეთის საზოგადოების სრული სპექტრი, რომელმაც უნდა დაიცვას აფხაზეთის თითოეული მოქალაქის და საერთო ნაციონალური ინტერესები! თქვენი პირადი წვლილი აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და აფხაზეთის სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძვლების გამყარებაში ყველასათვის ცნობილია“.

ე.წ. მიმართვის ავტორების აზრით, ალექსანდრე ანქვაბის მონაწილეობა ე.წ. პარლამენტის არჩევნებში იქნება შიდა დაპირისპირების შეწყვეტისა და დაგროვებული პრობლემების გადაწყვეტის რეალური შანსი.

27.01.2017 [АБХАЗИЯ-ИНФОРМ](http://ABKHAZINFORM.COM/NOVOSTI)[HTTP://ABKHAZINFORM.COM/NOVOSTI](http://ABKHAZINFORM.COM/NOVOSTI)

„აფხაზეთის საპარლამენტო არჩევნებში ალექსანდრე ანქვაზის მონაწილეობას ვეტერანები აპროტესტებენ“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. ექსპრეზიდენტის ალექსანდრე ანქვაზის მონაწილეობას ე.წ. საპარლამენტო არჩევნებში დე-ფაქტო აფხაზეთის ვეტერანები ეხმაურებიან. ესენია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „აფხაზი ხალხის 1992-1993 წ. სამამულო ომის მონაწილე ინვალიდ ქალთა ასოციაცია“, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „1992-1993 წ. აფხაზი ხალხის სამამულო ომის ვეტერანები „აბაში“, რესპუბლიკური საზოგადოებრივი ორგანიზაცია „1992-1993 წ. აფხაზი ხალხის სამამულო ომის ვეტერანები „არუა“

ზემოთ ჩამოთვლილი ე.წ. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადებებში ვკითხულობთ;

„ყველას გვახსოვს აფხაზეთის უახლესი ისტორიის ერთერთი ყველაზე რთული, 2014 წლის 27 მაისის, დღე. მაშინ განვითარებულ მოვლენებში დამნაშავე ალექსანდრე ანქვაზია. მას შეეძლო შეეჩერებინა საქართველოს მოქალაქეებისთვის უკანონოდ პასპორტების გაცემის პროცესი და დაესაჯა დამნაშავეები, მაგრამ მან ეს არ, ან ვერ გააკეთა და კინალამ კატასტროფამდე მიიყვანა ქვეყანა. ახლა კი მას არ აქვს უფლება იგნორირება გაუწიოს ათასობით აფხაზეთის მოქალაქეს და კენჭი იყაროს დეპუტატად.

შეგახსენებთ, რომ დე-ფაქტო აფხაზეთში ე.წ. საპარლამენტო არჩევნები 12 მარტს უნდა გაიმართოს.

დე-ფაქტო აფხაზეთში 35 ოლქია და ე.წ. დეპუტატები მაჟორიტარული პრინციპით აირჩევიან. ბოლო მონაცემებით, 135 საინიციატივო ჯგუფი და 4 პოლიტიკური პარტია ცდილობს 35 ე.წ. საპარლამენტო მანდატის გაყოფას.

პარტიებს შორისაა მოქმედი ე.წ. პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას გაერთიანება "აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმი", "სახალხო ფრონტი", "აინარი" და "ამცახარა". "ამცახარა" ყველაზე აქტიური და დიდი ოპოზიციური გაერთიანებაა, რომლის ლიდერია ასლან ბჟანია და ეს გაერთიანება ექსპრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაზის მხარდამჭერადც მიიჩნევა, თუმცა ამ ე.წ. არჩევნებზე ანქვაზის კანდიდატურა არა ამ პოლიტიკურმა ძალამ, არამედ საინიციატივო ჯგუფმა წამოაყენა.

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. ცსკო-ს განცხადებით, ე.წ. საპარლამენტო არჩევნებისთვის, დე-ფაქტო აფხაზეთის ბიუჯეტიდან 15 000 000 რუბლია გამოყოფილი. ე.წ. ცსკო-ს თავმჯდომარის თამაზ გოგიას თქმით ხარჯთაღრიცხვის გაზრდა გამოიწვეულია იმით, რომ საარჩევნო უბნების 70 პროცენტზე მოსალოდნელია მეორე ტური.

09.02.2017РЕСПУБЛИКА АБХАЗИЯНТТР://GAZETA-RA.INFO/INDEX-1.PHP

„ალექსანდრე ანქვაზის ერთერთმა კონკურენტმა თავისი კანდიდატურა მოხსნა“

გუდაუთის მე-18 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის ერთერთმა კანდიდატმა, ალხას აგრბამ, დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. ცსკო-ს თავისი კანდიდატურის მოხსნის შესახებ განცხადებით მიმართა, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნა. შეგახსენებთ, რომ გუდაუთის მე-18 საარჩევნო ოლქში კიდევ ორი კანდიდატია რეგისტრირებული, რომელთა შორის ე.წ. ექსპრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაზია.

8 მარტის მონაცემებით 35 ე.წ. დეპუტატის მანდატისთვის 138 კანდიდატი იყრის კენჭს. ქ. სოხუმში 8 საარჩევნო ოლქში 43 კანდიდატია რეგისტრირებული, გუდაუთის რაიონის 7 ოლქში-19 კანდიდატი, ოჩამჩირის რაიონის 6 საარჩევნო ოლქში-20 კანდიდატი, გაგრის რაიონის 5 საარჩევნო ოლქში-20 კანდიდატი, სოხუმის და გულრიფშის რაიონებში სადაც სამ-სამი საარჩევნო ოლქია და მათში შესაბამისად 12 და 8 დეპუტატობის კანდიდატი იყრის კენჭს. ტყვარჩელის რაიონის 2 საარჩევნო ოლქში-8 კანდიდატია და გალის რაიონის 1 საარჩევნო ოლქში-8 კანდიდატი იბრძობლებს ე.წ. დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად.

ე.წ. ექსპერტების პროგნოზის თანახმად დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საარჩევნო ოლქების უმეტესობაში არჩევნების მეორე ტურია მოსალოდნელი.

08.03.2017TASS.RUhttp://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/4078993

„აფხაზეთის არჩევნებში გამარჯვებული დეპუტატების სახელები ეტაპობრივად დასახელდება“

12 მარტს დე-ფაქტო აფხაზეთში ე.წ. საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. მედია ე.წ. არჩევნებში გამარჯვებული დეპუტატების სახელებს ეტაპობრივად აქვეყნებს. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის ელენა ლაბახუას განაცხადებით, წინასწარი მონაცემებით, საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვეს დიმიტრი დბარმა (მე-14 უბანი), ალექსანდრე ანქვაბმა (მე-18 უბანი), ბატალ ტაბალუამ (30-ე უბანი).

ე.წ. მთავრობის განცხადებით, საპარლამენტო არჩევნებმა დე-ფაქტო აფხაზეთში ექსცესების გარეშე ჩაიარა. არჩევნებს რუსეთის ფედერაციიდან დამკვირვებლები ესწრებოდნენ, ასევე, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, თვითგამოცხადებული დონეცკის, ლუგანსკისა და არცახის რესპუბლიკის წარმომადგენლები.

13.03.2017AIAAIRAHTTP://AIAAIRA.COM/NEWS/POLITICS/LEONID_CHAMAGUA_POZDRAVIL_LEONIDA_LAKERBAYA_S_POBEDOY_NA_VYBORAKH_V_PARLAMENT/

„საბრძოლო განგაში და სწავლება აფხაზეთის რუსულ ბაზაზე“

დე-აფხაზეთში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზის ქვედანაყოფებში, მოულოდნელი საბრძოლო განგაში გამოცხადდა, წერს სამხრეთის სამხედრო ოლქის პრესსამსახური.

სასწავლო წვრთნებში მონაწილეობს გაერთიანების ყველა ქვედანაყოფი, სამხედრო და სპეციალური ტექნიკა, მათ შორის, თანამედროვე ტანკები T-72B3, ჯავშანტრანსპორტიორები TP-82AM და ბრონირებული ავტომობილები.

აფხაზური მედიის ცნობით, რუსული სამხედრო გაერთიანებების პირადმა შამდგენლობამ, უმოკლეს დროში, მიიღო იარაღი, აღჭურვილობა და მითითებულ რაიონებამდე 120 - კილომეტრიანი მარშის განხორციელებას შეუდგა, რათა ადგილზე, მათ წინაშე დაყენებული სასწავლო - საბრძოლო ამოცანების შესრულებას შეუდგეს.

სამხედრო სწავლება მიზნად ისახავს დანაყოფების საბრძოლო მომზადების დონის შემოწმებას.

14.03.2017SputnikAbkhaziahttp://sputnikabkhazia.ru/Abkhazia/20170314/1020607972/podrazdeleniyayuvovabxaziibylipodnyatypotrevoe.html

„აფხაზეთში სურკოვის და ზატულინის განცხადებებს ეხმაურებიან“

ოკუპირებულ აფხაზეთში ჩატარებულ ე.წ. არჩევნებს არაერთი რუსი პოლიტიკოსი გამოეხმაურა. საზოგადოებაში განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწის ვლადისლავ სურკოვისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს, დსთ-ს საქმეთა და ევრაზიული კავშირის ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის კონსტანტინე ზატულინის განცხადებებმა.

„Sputnik Abkhazia“-თვის მიცემულ ინტერვიუში ვლადისლავ სურკოვმა განაცხადა:

„ის ფაქტი, რომ აფხაზეთის პარლამენტში გავიდნენ ოპოზიციის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც არიან ალექსანდრე ანქვაბი და დიმიტრი დბარი მოწმობს იმაზე, რომ ოპოზიციამ გადაწყვიტა პოლიტიკური პროცესები დემოკრატიულ ჩარჩოებში მოაქციოს და ქუჩიდან საკანონმდებლო ორგანოში გადაიტანოს“

ამ განცხადებაში ზოგიერთმა პოლიტიკურმა მიმოხილველმა დაინახა რუსეთის ოფიციალური პირების სიმპატიები ე.წ. ოპოზიციის მიმართ.

განსაკუთრებული ვნებათაღელვა გამოიწვია ზატულინის განცხადებამ, რომელიც მან არჩევნების პირველი ტურის შემდეგ გააკეთა ოკუპირებული რესპუბლიკის ე.წ. ცსკო-ში ჩატარებულ ბრიფინგზე, რომელიც გამართეს ე.წ. საერთაშორისო დამკვირვებლებმა. კერძოდ, ზატულინმა განაცხადა:

„ჩვენ ნათლად ვხედავთ იმ დაბრკოლებებს, რომელსაც აფხაზური კანონმდებლობა ქმნის რესპუბლიკაში ივესტიციების განხორციელების გზაზე“

ზატულინმა იგულისხმა ის კანონი, რომელიც კრძალავს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ უძრავი ქონების შეძენას. მისი თქმით;

„მე მესმის, რომ არსებობს პოსტკონფლიქტური სინდრომი, არის შიში მიწის კანონის ლიბერალიზაციის გამო, მაგრამ აბსურდია იმის ფიქრი, რომ იმ შემთხვევაში თუ რუსეთის მოქალაქეებს მიეცემათ კერძო საკუთრების ან რამე სახის მერყურნეობების შეძენის საშუალება, 140 000 რუსეთის მოქალაქე აფხაზეთს მოაწყდება“.

კონსტანტინე ზატულინმა იმ გარემოებაზეც მიანიშნა დამსწრეებს, რომ მომავალ ტურისტულ სეზონში, რუსი ტურისტებისთვის თურქეთის და ეგვიპტის მიმართულებების იხსნება, რაც არადიარებულ აფხაზეთში შანტაჟად იქნა აღქმული.

15.03.2017 [Эхо Кавказаhttp://www.ekhokavkaza.com/a/28371972.html](http://www.ekhokavkaza.com/a/28371972.html)

„სერგეი შამბა არჩევნების შესახებ“

26 მარტს დე-ფაქტო აფხაზეთში არჩევნების მეორე ტური გაიმართება. რესპუბლიკური პარტია „ედინაია აფხაზიას“ ლიდერი, წარსულში საგარეო საქმეთა მინისტრი, პრემიერ მინისტრი და წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატი სერგეი შამბა წლევანდელ ე.წ. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა, თუმცა მეორე ტურში ვერ გადავიდა.

სერგეი შამბამ, დე-ფაქტო რესპუბლიკაში ჩატარებული არჩევნები, ექს - პრეზიდენტის ალექსანდრე ანკვაბის პარლამენტში მოხვედრის შანსები შეაფასა და მოვლენების შესაძლო განვითარების პროგნოზი გააკეთა.

შამბას განცხადებით, დე-ფაქტო აფხაზეთის მეშვიდე მოწვევის საპარლამენტო არჩევნები მწვავე კონკურენციის პირობებში მიმდინარეობდა და ახალაგაზრდა კანდიდატების აქტიურობით გამოირჩეოდა.

„უმეტეს შემთხვევაში, კენჭს 40 წელს მიღწეული ადამიანები იყრიან, რომლებსაც თავის წარმოჩენა სურთ, ამიტომ, არაფერია იმაში გასაკვირი, რომ ვეტერანებმა მარცხი განიცადეს, მათ შორის - მეც. თუმცა, ისმის კითხვა, რამდენად მზად არიან ისინი დეპუტატობისთვის... მე უკვე მრავალი წელია ვიმეორებ, რომ საარჩევნო სისტემა შესაცვლელია, და არჩევნები პარტიული სიით უნდა ტარდებოდეს. ეს რომ თავის დროზე გაგვეკეთებინა, ახლა უკვე სხვა პოლიტიკური სისტემა გვექნებოდა და ხმას პარტიებს მივცემდით და არა პიროვნებებს“, - აღნიშნა სერგეი შამბამ.

შამბას განმარტებით, მთავარი მიზეზი იმისა, რომ მოსახლეობა აქამდე უცნობ სახეებს აძლევს ხმას, იმაში მდგომარეობს, რომ თაობათა ცვლის დრო დადგა. მისივე თქმით, ადამიანების უმრავლესობა უკმაყოფილოა იმით, რაც ომის შემდგომ პერიოდში მოხდა, რასაც ისინი ძველ თაობას უკავშირებენ.

16.03.2017 [Эхо Кавказаhttp://www.ekhokavkaza.com/a/28373839.html](http://www.ekhokavkaza.com/a/28373839.html)

„სოხუმში დეპუტატობის კანდიდატის მანქანას ცეცხლი გაუჩნდა“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატის ბატალ აიბას ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა. ამის შესახებ ქალაქ სოხუმის პროკურორმა რუსლან ტირკბამ განაცხადა.

მისივე ცნობით, ავტომობილს ცეცხლი, სალამოს 9 საათზე, ეშბას ქუჩაზე, აღნიშნული კანდიდატის საარჩევნო შტაბთან გაუჩნდა. მიზეზები ამ დრომდე დაუდგენელია.

პროკურატურა ორ ძირითად ვერსიას - განზრახ ცეცხლის გაჩენას და აალებას განიხილავს. ტირკბას განცხადებით, ე.წ. დეპუტატობის კანდიდატი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჯერ არ დაკითხულა.

16.03.2017Sputnik-Abkhazia<http://sputnik-abkhazia.ru/Incidents/20170316/1020628988/Vozgoranie-avtomobilya-kandidata-v-deputaty-Batala-Ajba-proizoshlo-v-Suhume.html>

„აჩიგვარაში „დეპუტატობის კანდიდატის“ მანქანას ესროლეს“

გალის რაიონის სოფელ აჩიგვარაში დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატის კახა პერტაიას მანქანას ცეცხლი გაუხსნეს. უცნობმა პირმა, „ნისანის“ მარკის ავტომობილის მიმართულებით, რომელსაც ბესლან პერტაია მართავდა, ბორდიურიდან რამდენჯერმე გაისროლა

მძლოლმა შემთხვევის ადგილიდან მანქანის გაყვანა შეძლო, რასაც, პერტაიას მხრიდან, საპასუხო გასროლა მოჰყვა. ამის შესახებ ინფორმაციას დე-ფაქტო რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოები ავრცელებენ. შემთხვევის შედეგად, რომელიც ორი დღის წინ მოხდა, არავინ დაშავებულა, ავტოსატრანსპორტო საშუალება არ დაზიანებულა.

შეგახსენებთ, რომ 17 მარტს, დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის დეპუტატობის კიდევ ერთი კანდიდატის, ბატალ აიბას ავტომობილს გაუჩნდა ცეცხლი. ქალაქ სოხუმის პროკურორის რუსლან ტირკბას განცხადებით, ეს სალამოს 9 საათზე, ეშბას ქუჩაზე, აღნიშნული კანდიდატის საარჩევნო შტაბთან მოხდა. პროკურატურა ორ ძირითად ვერსიას - განზრახ ცეცხლის გაჩენას და აალებას განიხილავს.

18.03.2017 YOUTUBE [HTTPS://WWW.YOUTUBE.COM/WATCH?V=ESRGR3YWORO](https://www.youtube.com/watch?v=ESRGR3YWORO)

„ასლან კობახია არჩევნების მეორე ტურის შესახებ“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის შს მინისტრმა ასლან კობახიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ არჩევნების მეორე ტური მშვიდ გარემოში ჩატარდება.

“კონფლიქტების საფუძველი არ არის. დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდება. ერთადერთი, რაც არ მომწონს, სოციალურ ქსელებში კანდიდატებზე თავდასხმაა. ხალხის არჩევანს პატივი უნდა ვცეთ” – აღნიშნა კობახიამ.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკაში ე.წ.საპარლამენტო არჩევნები 12 მარტს ჩატარდა. არჩევნების მეორე ტური, რომელიც 22 უბანში გაიმართება, 26 მარტს არის დანიშნული.

23.03.2017 [sputnik-abkhaziahttp://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20170323/1020676310/glava-mvd-o-vtorom-ture-golosovaniya-vybor-naroda-nuzhno-uvazhat.html](http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20170323/1020676310/glava-mvd-o-vtorom-ture-golosovaniya-vybor-naroda-nuzhno-uvazhat.html)

„აფხაზეთში არჩევნების მეორე ტური შედგა“

დე-ფაქტო აფხაზეთში 26 მარტს ე.წ. საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური ჩატარდა. განმეორებითი კენჭისყრა 22 ოლქში გაიმართა. Sputnik-Abkhazia მეორე ტურში გამარჯვებულ დეპუტატთა ვინაობას აქვეყნებს.

მედიის ცნობით, მე-17 გუდაუთის ოლქში, სადაც ვერცერთმა დეპუტატმა ხმების საკმარისი რაოდენობა ვერ დააგროვა, ხელახალი არჩევნები 14 მაისს გაიმართება. პარლამენტის 12 დეპუტატი 12 მარტს უკვე აირჩა, როდესაც დე-ფაქტო რესპუბლიკაში მეექვსე მოწვევის ე.წ.საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა.

„აფხაზეთის პასუხი ისტორიული ძეგლის განადგურებაზე“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო აფხაზეთში, სოფელ წებელდაში, რუსეთის სამხედრო ძალების მიერ ეკლესიის დაზიანების ფაქტს ეხმიანება.

განცხადებაში, რომელიც ე.წ. საგარეო უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა აღნიშნულია, რომ საქართველოს ოფიციალური პირების განცხადებები რუსი სამხედროების მიერ სოფელ წებელდაში სამხედრო პოლიგონის მშენებლობასთან დაკავშირებით, სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან სოფელში უკვე არსებობს პოლიგონი, რომელსაც დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის.

ე.წ. საგარეო უწყების ცნობით, დე-ფაქტო აფხაზეთსა და რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, აფხაზურ მხარეს შეუძლია სოფელი წებელდის მიმდებარე ტერიტორია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გადასცეს ერთობლივი სამხედრო წვრთნებისა და სწავლებისთვის.

„იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთსა და რუსეთს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა ემყარება სამართლებრივ საფუძვლებს, გაუგებარია, თბილისის აღმფოთება ამ მხრივ. რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებს ისტორიული ძეგლის დანგრევის შესახებ, ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს რეალობის დამახინჯებას. ტერიტორიის გაწმენდის დროს მართლაც დაზიანდა ისტორიული ძეგლი. ამ საქმის შესასწავლად და შესაბამისი ზომების მისაღებად უკვე შექმნილია სპეციალური კომისია აფხაზეთის კულტურისა და ისტორიული მემკვიდრეობის და თავდაცვის სამინისტროს სპეციალისტების შემადგენლობით, რომელიც შეაფასებს ძეგლისთვის მიყენებულ ზიანს. მუშაობის შედეგები გამოცხადდება მედიის საშუალებით და მისი გაცნობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ან ორგანოსთვის იქნება ხელმისაწვდომი“ - ნათქვამია ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში

მათივე განცხადებით, გაოცებას იწვევს თბილისის მიმართვა „იუნესკოსადმი“ აღნიშნული ძეგლის საკითხზე.

11.01.2017МИД РАИТТР://MFAAPSNY.ORG/

„ახალი ათონის ნაკრძალში ისტორიული წარწერების შემცველი კედელი დაშალეს“

2016 წლის ოქტომბერში, ახალი ათონის ისტორიულ - კულტურული ნაკრძალის „ანაკოფიის“ ხელმძღვანელმა ალხას არგუნმა დაშალა ანაკოფიის მთაზე არსებული ქრისტიანული ტაძრის საკურთხეველთან მდებარე კედელი, რომელიც უძველეს ნაშთებს ინახავდა. ეს უნიკალური ექსპონატებია, რომელთა დათვალიერება 100 წლის განმავლობაში, მილიონობით ადამიანისთვის იყო ხელმისაწვდომი.

ალხას არგუნის განცხადებით, ანაკოფიაში შუა საუკუნეებით დათარიღებული ლაპიდარული ძეგლების ამოღება დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. მეცნიერებათა აკადემიის მიერ იყო სანქცირებული.

„სიმართლე ისაა, რომ ეს იძულებითი ზომა იყო, შავი არქეოლოგებისა და ვანდალიზმის გახშირებული ფაქტების გამო. 2016 წლის მაისში, ჩვენ შესაბამისი წერილით მივმართეთ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თუმცა უწყებას ამაზე რეაგირება არ მოუხდენია. მაშინ მე მეცნიერებათა აკადემიას მივმართე, იქ ჩვენი მოთხოვნით საგანგებო სხდომა ჩატარდა. შედეგად, შემუშავდა დოკუმენტი შესაბამისი რეკომენდაციებით კულტურის სამინისტროსა და ახალი ათონის ისტორიულ არქიტექტურული ნაკრძალის ხელმძღვანელობისთვის“ - განაცხადა არგუნმა.

ნაკრძალის ხელმძღვანელი ახალი ათონის ლაპიდარული ძეგლების მიმართ განხორციელებულ ქმედებებს კანონიერად მიიჩნევს. მისი თქმით, ამოღებული ქვის დეტალებს ათონის მუზეუმში გამოფენენ.

ახალი ათონის ნაკრძალის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას დე-ფაქტო აფხაზეთის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ისინი ალხას არგუნის უწყებისგან ოფიციალურ განმარტებებს ითხოვენ.

13.01.2017 APSNY LAIFE [HTTP://APSNYLIFE.RU/](http://apsnylife.ru/)

„აფხაზეთის დელეგაციის ვიზიტი იორდანის ჰაშიმიტურ სამეფოში“

იორდანის ჰაშიმიტური სამეფოს პრინცმა, ალი ბინ ალი ჰუსეინმა, რომელიც წარმოშობით ნახევრად ჩერქეზია, მიიღო დე-ფაქტო აფხაზეთის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა „აფხაზეთის საერთაშორისო ფონდის“ პრეზიდენტი სონერ გაგუა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პრინცი დაინტერესებულია მშობლიური კულტურით და ისტორიით.

დე-ფაქტო აფხაზეთის დელეგაციამ პრინცს გააცნო ოკუპირებული აფხაზეთის შესახებ ინფორმაცია. შეხვედრაზე შეეხნენ ისეთ საკითხებს, როგორცაა დე-ფაქტო რესპუბლიკის შესაძლებლობები, პოლიტიკური პრიორიტეტები აფხაზეთის დიასპორის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების საქმეში. აგრეთვე, დე-ფაქტო აფხაზეთის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ დე-ფაქტო აფხაზეთი და იორდანია მომავალშიც გააგრძელებენ ურთიერთთანამშრომლობას კულტურის, სპორტის, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში.

24.01.2017 аиааира http://www.aiaaira.com/news/politics/delegatsiya_iz_abkhazii_vstretilas_s_printsem_ali/

„აფხაზეთის საგარეო უწყება განცხადებას აკეთებს“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო გაეროს წარმომადგენლისა და საქართველოში აშშ-ის ელჩის, იან კელის გამონათქვამებზე “ნაბაკიას” გამშვები პუნქტის დახურვასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

“სახელმწიფო საზღვრის მოწყობა და გამაგრება აფხაზეთის სუვერენული უფლებაა და არა გადაადგილების შეზღუდვა. გაეროს წარმომადგენლებმა საქართველოში და აშშ-ის ელჩმა, იან კელიმ მღელვარება გამოხატეს გამშვები პუნქტების დახურვასთან დაკავშირებით და განაცხადეს, რომ ეს გადაადგილებას შეზღუდავს და აფხაზეთის მოსახლეობისთვის გართულდება წვდომა ჯანდაცვაზე, განათლებაზე, ვერ მოხვდებიან ქორწილებში, ახლობლების დაკრძალვაზე”.

აფხაზეთი მხარე მიიჩნევს, რომ ეს მიდგომა ორმაგი სტანდარტების მანიშნებელია.

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყება აცხადებს, რომ ნაბაკიას გამშვები პუნქტის დახურვამდე გზის რეკონსტრუქცია განხორციელდა და ენგურის გამშვები პუნქტზე მოსახვედრად ოტობაიასა და ნაბაკიას მოსახლეობისთვის კომფორტული ავტობუსი დაინიშნა. ასევე გაზრდილია ამ პუნქტის გამტარუნარიანობა.

27.01.2017 МИД РА <http://mfaapsny.org/news/index.php?ID=4826>

„აფხაზეთის აბიტურიენტებისთვის მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში 5 ადგილი გამოიყოფა“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო 6 თებერვლიდან 3 მარტამდე საშუალოს სკოლების კურსდამთავრებულებისთვის საბუთების მიღებას აწარმოებს. კონკურსის საფუძველზე აბიტურიენტები მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში (МГИМО) ჩაირიცხებიან.

რუსეთის ფედერაციის შესაბამისი განკარგულების თანახმად, აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელში, დე-ფაქტო აფხაზეთის მოქალაქეებისთვის, ყოველწლიურად, ხუთი ადგილი გამოიყოფა.

პირველ ეტაპზე აბიტურიენტებმა უნდა დაწერონ განცხადება, რომელშიც სასურველ ფაკულტეტს მიუთითებენ, წარადგინონ დე-ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკის შიდა და საზღვარგარეთის პასპორტების ასლები და ცნობა სკოლიდან აკადემიური მოსწრების შესახებ. მისაღები ტესტები 2017 წლის აპრილში ჩატარდება.

03.02.2017МИД РА<https://www.facebook.com/MidAbhazii/>

„აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიხეილ ჯანელიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა.

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება საგარეო უწყების პრეს-მდივანმა ლაურა ტანიამ გააჟღერა. განცხადებაში ვკითხულობთ:

„როგორც ჯანელიძემ გუშინ, ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთვის ვიზაილბერალიზაციის მხარდაჭერის შემდეგ განაცხადა, უვიზო რეჟიმი ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის იმოქმედებს.

აფხაზეთის საგარეო უწყება აცხადებს, რომ ევროპარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე გავრცელდება და არავითარ შემთხვევაში არ ეხება აფხაზეთის მოქალაქეებს.

აღნიშნულ განცხადებას ვაფასებთ, როგორც საქართველოს ხელისუფლების მორიგ მცდელობად, რომ აფხაზეთის მოქალაქეები საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში ჩართოს. ცხადია, რომ მას შემდეგ რაც ნეიტრალური პასპორტების იდეა მთლიანად ჩავარდა, საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა კიდევ ერთი სატყუარა გამოიყენოს, ევროკავშირის ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სახით. ცხადია, რომ თბილისის ეს მცდელობა, ისევე როგორც ყველა დანარჩენი მცდელობები, მარცხისთვის არის განწირული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაცხადებთ, რომ საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, რომ აფხაზეთის მოქალაქეები პირადი პოლიტიკური მანიპულაციებისთვის გამოიყენოს, უპერსპექტივოა. თუ ქართველი ხელმძღვანელები მართლაც არიან შემფოთებული აფხაზეთის მოქალაქეების გადაადგილების თავისუფლების საკითხით, მაშინ უარი თქვან ჩვენი მოქალაქეების საერთაშორისო იზოლაციაზე, რომლებსაც თბილისის გამო, ევროკავშირის ქვეყნებში შესვლა ეკრძალებათ.“

03.02.2017МИД РА<https://www.facebook.com/MidAbhazii/>

„დღესასწაულებზე აფხაზურ - რუსული საზღვარი 150 ათასზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა“

სამხრეთის ოლქის საბაჟო სამმართველოს პრესსამსახურის ინფორმაციით, საახალწლო დღესასწაულების პერიოდში აფხაზურ-რუსული საზღვარი 150 ათასზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა.

2017 წლის 9 დღის განმავლობაში სოჭის მეზაჟეებმა, ორივე მიმართულებით, 153 872 ფიზიკური პირისა და 32 987 სატრანსპორტო საშუალების მიმართ განახორციელეს კონტროლი. ამავე

მონაცემების თანახმად, დღე-ღამეში საზღვარს 17 ათასი ადამიანი და 3 ათასზე მეტი ავტომობილი კვეთს.

ადღერის საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის დენის ვორონინის განცხადებით, ბოლოს სამი წლის განმავლობაში, ავტომობილების რიცხვი, რომლებიც აფხაზურ - რუსულ საზღვარს კვეთენ, ყოველწლიურად 10-15 პროცენტით იზრდება.

2016 წელს, სულ საზღვარი 9 მილიონ 400 ათასმა ადამიანმა და 1 მილიონ 816 ათასმა სატრანსპორტო საშუალებამ გადაკვეთა. 2015 წელს — 8 მილიონ 768 ათასმა ადამიანმა და 1 მილიონ 655 ათასმა სატრანსპორტო საშუალებამ.

13.01.2017 Sputnik Abkhazia <http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20170113/1020224746/bolee-150-tysyach-chelovek-peresekli-rossijsko-abxazskuyu-granicu-v-prazdniki.html>

„აფხაზური დელეგაციის ვიზიტი ლაზანაში“

დე-ფაქტო აფხაზეთში, 2017 წლის 25 თებერვალს გამართულ წინასაარჩევნო ტელედებატებში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ქ. სოხუმის მე-7 საარჩევნო ოლქის დეპუტატობის კანდიდატები, საფეხბურთო კლუბის „სოხუმი“ პრეზიდენტმა და ერთერთმა კანდიდატმა, ასტამურ ადლეიბამ, განაცხადა, რომ აფხაზური დელეგაცია ე.წ. „აფხაზეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის“ სახელით“. ვიზიტით იმყოფებოდა შვეიცარიის ქალაქ ლაზანაში.

ასტამურ ადლეიბას თქმით, მათ წერილობით მიმართეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს თომას ბახს. წერილის შინაარსზე მას არ უსაუბრია, მაგრამ ადრე გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზური მხარე თხოვნით მიმართავს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, განხლულ იქნას დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. „ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის“ ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხი.

ასტამურ ადლეიბამ, „Agha TB“-ში გამართულ დებატებში განაცხადა, რომ დე-ფაქტო აფხაზეთის დელეგაცია მიიღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა, რომელმაც წერილი დაარეგისტრირა.

ვიზიტის შედეგების შესახებ დეპუტატობის კანდიდატმა თქვა, რომ შეხვედრა ძალიან საინტერესოდ და იმედის მომცემად წარიმართა.

25.02.2017 Agha TB <https://www.youtube.com/watch?v=Y-X5noOK28Y>

„სოხუმი ნატოს მოწოდებას არ გაიზიარებს „

სოხუმი ოტობაიასა და ნაბაკევიში საკონტროლო გამშვები პუნქტების დახურვის შესახებ გადაწყვეტილებას არ გადახედავს. ამ განცხადებით დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო, ნატოს სპეცწარმომადგენლის ოანა ლუნგესკუს გამოეხმაურა.

ამავე ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ 2012 წლის 10 ივლისს დე ფაქტო რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, ოტობაიას და ნაბაკევის საგუშაგოები დროებით, ენგურის ხიდზე არსებული საგუშაგოს ინფრასტრუქტურის მოწყობამდე, გაიხსნა.

ე.წ. საგარეო უწყების განცხადებაში ნათქვამია:

"ნატოს წარმომადგენლის მიერ გაჟღერებული მოწოდება უფრო მოთხოვნას ჰგავს. როგორც ჩანს, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა გადაწყვიტა, რომ აფხაზეთზე აშკარა ზეწოლა განახორციელოს... იმ პირობებში, როდესაც ჟენევის დისკუსიების ფორმატში, საქართველოს არ სურს ხელი მოაწეროს აფხაზეთთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულებას, ნატოს მსგავსი აქტიურობა, აღიქმება, როგორც საფრთხე აფხაზეთის რესპუბლიკის უსაფრთხოებისთვის“

ცნობისთვის, ნატო დე ფაქტო აფხაზეთის ხელისუფლების მიერ სამეგრელო - აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე ორი საკონტროლო - გამშვები პუნქტის დახურვის ფაქტს

გამოეხმაურა. განცხადება ნატოს სპეცწარმომადგენელმა ოანა ლუნგესკუმ გააკეთა. მან აღნიშნა, რომ ეს მოქალაქეების თავისუფლად გადაადგილების უფლების შეზღუდვაა.

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. მინისტრთა კაბინეტმა საქართველო - აფხაზეთის ე.წ. საზღვარზე ნაბაკევის და ოტობაიას საკონტროლო - გამშვები პუნქტების დახურვის შესახებ გადაწყვეტილება გასული წლის დეკემბრის ბოლოს მიიღო.

01.03.2017 МИД РА <http://mfaapsny.org/news/?ID=4907>

„კან ტანიას პასუხი ჯეიმს აპატურაის“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კან ტანია, ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის კავკასიისა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა.

ჯეიმს აპატურაიმ დე-ფაქტო აფხაზეთში 12 მარტს ჩატარებული ე.წ. არჩევნების კომენტარებისას აღნიშნა, რომ ნატო აფხაზეთში გამართულ არჩევნებს არ აღიარებს.

კან ტანიას თქმით კი, აპატურაის აღნიშნული განცხადების მიუხედავად, აფხაზეთში არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა.

„არჩევნებმა აჩვენა, რომ ის კარგად იყო ორგანიზებული. საერთაშორისო დამკვირვებლებმაც აღნიშნეს, რომ არჩევნები დარღვევის გარეშე ჩატარდა“, - ვკითხულობთ კან ტანიას განცხადებაში.

მისი თქმით, აფხაზეთს მხარეს არაერთხელ განუცხადებია, რომ აფხაზეთი სუვერენული სახელმწიფოა და ამის განმეორებით არ დავიღვებით.

„მიუხედავად იმისა, რომ ნატო, ან სხვა საერთაშორისო სტრუქტურები აფხაზეთის საპარლამენტო არჩევნებს არ აღიარებენ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის არ შედგა“, - განაცხადა კან ტანიამ.

დე-ფაქტო აფხაზეთში ე.წ. საპარლამენტო არჩევნების პირველი ტური 12 მარტს გაიმართა.

15.03.2017Sputnik-Abkhazia <http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20170315/1020619853/taniya-na-slova-appaturaya-o-vyborax-v-abxazii-oni-sostoyalis.html>

„დაურ კოვეს პრეს-კონფერენცია“

17 მარტს გამართულ პრეს-კონფერენციაზე, დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა, დაურ კოვემ, ვენესუელის ბოლივარულ რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტის შედეგებზე ისაუბრა.

დე-ფაქტო აფხაზეთის დელეგაციაში, რომელსაც დაურ კოვე ხელმძღვანელობდა, იმყოფებოდნენ, დე-ფაქტო აფხაზეთის საერთაშორისო კულტურულ-საქმიანი ცენტრის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, რუსეთში ოკუპირებული აფხაზეთის სავაჭრო წარმომადგენელი ოლეგ ბარციცი,

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექო გვარამია და დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.

პრეს-კონფერენციის დაწყებისას დაურ კოვემ აღნიშნა, რომ ვიზიტი, რომელიც მიმდინარეობდა 4-9 მარტამდე, შედგა ვენესუელის მთავრობის მოწვევით.

ვიზიტის დროს დელეგაციის წევრები შეხვდნენ ვენესუელის საგარეო ვაჭრობის და ინვესტიციების მინისტრს ხესუს ფარიას, ტელეკომუნიკაციებისა და კულტურის მინისტრებს. აგრეთვე, ბოლივარული უნივერსიტეტის რექტორატის ხელმძღვანელობას.

ვიზიტის ფარგლებში დაურ კოვე შეხვდა ვენესუელის ბოლივარული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს დელსი როდრიგეს გომესს და ვენესუელაში რუსეთის ფედერაციის ელჩს ვლადიმერ ზაემსკის.

17.03.2017МИД РА http://mfaapsny.org/news/?PAGEN_1=2

„იურისტთა საერთაშორისო კავშირის სხდომა მოსკოვში“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ, დიანა ფილიამ, მონაწილეობა მიიღო ქ. მოსკოვში ჩატარებულ იურისტთა საერთაშორისო კავშირის (MCIO) საკოორდინაციო საბჭოს სხდომაში. კავშირი შექმნილია დსთ-ს ქვეყნებში დემოკრატიის ფორმირების და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

დიანა ფილიას ინფორმაციით:

„იურისტთა საერთაშორისო კავშირის პრიორეტულ მიმართულებას წარმოადგენს, ნაციონალური კანონმდებლობის უნიფიცირება. აგრეთვე, სუვერენული განვითარებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთთანამშრომლობისთვის პირობების შექმნა.“

სხდომის შედეგებზე საუბრისას მოსამართლემ განაცხადა;

„შეხვედრის შედეგად დაგეგმილ იქნა რიგი ღონისძიებები თემაზე-„დსთ-ს ქვეყნებში საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის ფორმები“, „ადამიანის უფლებები ცვალებად მსოფლიოში“ და „ისლამი ტერორიზმის წინააღმდეგ“

მედიის ცნობით, სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო რუსეთის, ყაზახეთის, სომხეთის, დე-ფაქტო აფხაზეთის, ბელორუსის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის და სხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეებმა და მოსამართლეებმა.

26.03.2017 [Асныпрессhttp://www.apsnypress.info/news/sudya-konstitutsionnogo-suda-abkhazii-prinyala-uchastie-v-zasedanii-koordinatsionnogo-soveta-mezhdun/](http://www.apsnypress.info/news/sudya-konstitutsionnogo-suda-abkhazii-prinyala-uchastie-v-zasedanii-koordinatsionnogo-soveta-mezhdun/)

„აფხაზეთში საარსებო მინიმუმი 6,2% - ით გაიზარდა“

დე-ფაქტო აფხაზეთში მცხოვრები შრომისუნარიანი ადამიანის საარსებო მინიმუმმა 2017 წლის 1 იანვრის მონაცემებით – 6549,6 რუბლი (დაახლოებით 110 აშშ დოლარი) შეადგინა. საარსებო მინიმუმი მოიცავს 4479,9 რუბლის ოდენობის სასურსათო პროდუქტებს, 1283,7 ოდენობის - არა სასურსათო პროდუქტებს, 786,0 რუბლის ოდენობის - ფასიან მომსახურებას და აუცილებელ გადასახადებს.

დე- ფაქტო აფხაზეთის სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, აფხაზეთში საარსებო მინიმუმის რაოდენობა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 6,2% - ით გაიზარდა.

23.01.2017 [АИААИРАHTTP://WWW.AIAAIRA.COM/NEWS/ECONOMY/PROZHITOCNYY_MINIMUM_VOZROS_NA_6_2/](http://WWW.AIAAIRA.COM/NEWS/ECONOMY/PROZHITOCNYY_MINIMUM_VOZROS_NA_6_2/)

„ნაბაკევის საგუშაგოს დახურვა ერთი თვით გადაიდო“

ნაბაკევის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გაუქმება ერთი თვით გადაიდო. ამის შესახებ სოფელ ნაბაკევის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ნანა ქარდავამ განაცხადა და დასძინა, რომ გადასასვლელის დახურვის თარიღი ჯერჯერობით უცნობია. მისი თქმით, შექმნილია საინიციატივო ჯგუფი, რომელიც გეგმავს დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტს საკონტროლო- გამშვები პუნქტის დატოვების თხოვნით მიმართოს.

ნანა ქარდავას განცხადებით:

"ნაბაკევის გამშვები პუნქტის დახურვის შემთხვევაში, სოფლის მცხოვრებლებს საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით სირთულეები შეექმნებათ. გარდა ამისა, მათ სოფლიდან საქართველოში მგზავრობა ენგურის ხიდის გავლით მოუწევთ. ეს კი დამატებითი 30 კილომეტრია.

მხოლოდ წარმოიდგინეთ, რა დროის დახარჯვა მოუწევთ ჩვენს მოქალაქეებს. ავტობუსითაც კი ძალიან დიდი მანძილი გამოდის. ამასთან, სოფელ ხურჩაში (ზუგდიდის რაიონი) მცხოვრები ბავშვებისთვის, რომლებიც ჩვენს სკოლაში სწავლობენ, აქამდე მოსვლა ძალიან რთული იქნება”

28.01.2017 Кавказский Узел <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/296730/>

„გალის შერეული შეხვედრების მორიგი რაუნდი“

ოკუპირებულ გალში 24 იანვარს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში შექმნილი ჯგუფების რიგით 42-ე შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე განიხილეს რიგი საკითხები, მათ შორის გასული წლის 19 მაისს სოფელ ხურჩაში მომხდარი გიგა ოთხოზორის მკვლელობა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ვ.ბ. პეტროსიანის გატაცება და დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის სამინისტროს განყოფილების უფროსზე, ფორცხოლ-ოღლიზე თავდასხმა.

შეხვედრაზე დე-ფაქტო აფხაზეთის მხარეს ე.წ. სახელმწიფო უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ არლანი ხელმძღვანელობდა.

შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მორიგი 43-ე შეხვედრა 2017 წლის 22 თებერვალს გაიმართება ქ. გალში.

24.01.2017 МИД PA <http://mfaapsny.org/news/index.php?ID=4816>

„სოხუმში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელი ჩავიდა“

დე-ფაქტო აფხაზეთში ამიერკავკასიაში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სააგენტოს წარმომადგენელი იოჰანეს ფან დერ კლაუ იმყოფება. ის დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო სამქეთა მინისტრს დაურ კოვეს, მის მოადგილეს კან ტანას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების განყოფილების ხელმძღვანელს არტურ გაგულიას შეხვდა. შეხვედრაზე იმყოფებოდა UNHCR-ის სოხუმის ოფისის ხელმძღვანელი აზიზ როხჯო დაურ კოვემ დადებითად შეაფასა გაეროს მიერ დე-ფაქტო აფხაზეთში განხორციელებული პროექტები.

იოჰანეს ფან დერ კლაუმ მაღლობა გადაუხადა ე.წ. საგარეო უწყების ხელმძღვანელობას დე-ფაქტო აფხაზეთში სხვადასხვა პროექტების განხორციელების შესაძლებლობისთვის და ე.წ. მინისტრს 2017 წლისთვის დაგეგმილი პროექტები გააცნო.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სააგენტოს ოფისი, რომელიც ჰუმანიტარულ პროგრამებს ახორციელებს, აფხაზეთში 1993 წლიდან ფუნქციონირებს.

25.01.2017 аиааиа <http://abkhazinform.com/item/5226-daur-kove-vstretilsya-s-regionalnym-predstavitelem-uvkb-oon-na-yuzhnom-kavkaze-iokhannesom-van-der-klaau>

„გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლების მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა“

გალის რაიონის 200-მდე მცხოვრებმა 25 იანვარს დე-ფაქტო საზღვარზე არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოსალოდნელი დახურვა გააპროტესტა. ნაბაკვეისა და მეზობელი სოფლების მოსახლეობამ მდინარე ენგურზე არსებული ცენტრალური გადასასვლელისკენ გზა გადაკეტა.

ენგურის ცენტრალური გადასასვლელი, რომელიც რუსული სასაზღვრო საგუშაგოს უშუალო სიახლოვეს მდებარეობს, მთავარია იმ 6 პუნქტებს შორის, რომლითაც ადამიანები წლების

განმავლობაში კვეთდნენ დანარჩენ საქართველოსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის დე-ფაქტო საზღვარს, მალე კი იგი ერთადერთი გახდება. არადა, ბევრ ადგილობრივს ენგურის გადასასვლელამდე მისაღწევად ავტობუსით 15-30 კმ-ის გავლა უწევს და მერე კიდევ 800 მეტრის ფეხით ენგურის ხიდზე ქართულ მხარეს მოსახვედრად.

გალის რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელ თემურ ნადარაიას განცხადებით: „სადღესოდ ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ დაბალი ზონის სოფლების მცხოვრებლები დაუბრკოლებლად გადაადგილდნენ ენგურის ცენტრალურ გადასასვლელამდე“.

აქციის ადგილზე დღისით გალის რაიონის ე.წ. აფხაზური უშიშროების სამსახურის უფროსი თემურ შერგელია და ე.წ. შსს-ს ადგილობრივი განყოფილების თანაშრომლები იყვნენ მისულები. მათთან საუბრის შემდეგ გზა გაიხსნა და აქციის მონაწილეები დაიშალნენ.

25.01.2017aiaaira.com/news/politics/zhiteli_galskogo_rayona_vyshli_protestovat/

„სოხუმში წელიწადნახევარში მაღალტექნოლოგიური სამედიცინო ცენტრი ამოქმედდება“

სოხუმში მაღალტექნოლოგიური სამედიცინო ცენტრი აშენდება. ამის შესახებ დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. ჯანდაცვის მინისტრმა ანდზორ გოვამა და აღნიშნული პროექტის ხელმძღვანელმა ევგენი ოლეინიკოვმა განაცხადეს.

სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისთვის სამედიცინო დაზღვევის პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებით გაიმართა, სამომავლო გეგმებზე იასუბრეს.

ევგენი ოლეინიკოვმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას სტრატეგიული უწოდა და განაცხადა, რომ ცენტრში სამედიცინო დახმარების მიღებას მოსახლეობა დე-ფაქტო აფხაზეთიდან გაუსვლელად შეძლებს. მისივე ცნობით, ცენტრში, რომლის მშენებლობა, სავარაუდოდ, წელიწადნახევარში უნდა დასრულდეს, პირველ ეტაპზე 4 განყოფილება იფუნქციონირებს: კარდიოქირურგია, ჰემოდიალიზის განყოფილება, ლაბორატორიული და რეპროდუქციული ტექნოლოგიები.

07.02.2017minzdravra.org/index.php/ru/2014-12-11-19-29-29/sobytiya

„კან ტანია ჟენევის დისკუსიების 39-ე რაუნდის თანა-მოდერატორებს შეხვდა“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, კან ტანია, სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებში ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანა-მოდერატორებს გაეროდან, ევროსაბჭოდან და ეუთოდან შეხვდა.

მხარეებმა დეტალურად განიხილეს 39-რაუნდის, რომელიც ჩატარდება 2017 წლის 28-29 მარტს, დღის წესრიგი. კერძოდ, ერთობლივი განცხადების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს, დე-ფაქტო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის იურიდიულად სავალდებულო ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერას.

უსაფრთხოების საკითხებში პირველი სამუშაო ჯგუფის მუშაობის შესახებ საუბრისას შეეხნენ ე.წ. საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე ორი გამშვები პუნქტის დახურვის თემას და ამ საკითხთან დაკავშირებით ეუთოს, ევროსაბჭოს, გაეროს და ნატოს განცხადებებს. აგრეთვე, განიხილეს საქართველოს საგარეო უწყების, დე-ფაქტო აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების კუთხით, პოლიტიზირებული ყოველკვარტალური ანგარიშებს. შეხვედრაზე აფხაზურმა მხარემ გაამახვილა ყურადღება დე-ფაქტო აფხაზეთის მოქალაქეების საერთაშორისო იზოლაციის საკითხზე და საქართველოსა და ნატოს პარტნიორობის აქტივიზაციაზე.

მეორე სამუშაო ჯგუფის მუშაობის შესახებ საუბრისას შეეხნენ ეკოლოგიის საკითხებს და გალის რაიონში მცხოვრები ქართული მოსახლეობის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

09.03.2017[МИД РАhttp://mfaapsny.org/news/index.php?ID=4930](http://mfaapsny.org/news/index.php?ID=4930)

„შეხვედრა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, კან ტანიაშვილმა, დე-ფაქტო აფხაზეთში მოღვაწე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და გაეროს სპეციალიზირებულ სააგენტოებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაში, რომელიც დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა, მონაწილეობა მიიღო 9 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ. ესენია,

1. ექიმები საზღვრებს გარეშე (MSF)
2. დანიის ლტოლვილთა საბჭო (DRC)
3. მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ (ACF)
4. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC)
5. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
6. ბავშვებისთვის. ცვლილებებისთვის. სიცოცხლისთვის. (WVI)
7. გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)
8. ბრიტანეთის ჰუმანიტარული ორგანიზაცია (HALO Trust).
9. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა (UNHCR)

შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე. კერძოდ, მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ სათითაოდ ყველა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყებაში წარადგენს ანგარიშს პრევენტივის სახით, სადაც ასახული იქნება მათ მიერ განსახორციელებელი პროექტების გეგმა და მიზანი.

01.02.2017 aiashara<http://www.aiashara.com/>

„UNICEF – ის მხარდაჭერით აფხაზეთში ახალი პროექტი დაიწყო“

დე-ფაქტო აფხაზეთში გაეროს ბავშვთა ფონდის, იუნისეფის მხარდაჭერით, სოციალურ მუშაკებს გადაამზადებენ. პროგრამის ფინანსურ და მეთოდოლოგიურ დახმარებას სრულად გაეროს ბავშვთა ფონდი უზრუნველყოფს.

პროექტი საპილოტა და პირველ ეტაპზე, სოხუმში, გუდაუთასა და გალში მცხოვრებ მოწყვლად ბავშვთა და ოჯახთა დაცვას ითვალისწინებს.

იუნისეფის სოხუმის ოფისის წარმომადგენელი ამინა ზანთარია თქმით, ამ ეტაპზე, ღია კონკურსის წესით უკვე შერჩეულია სოციალურ მუშაკთა ჯგუფი, რომელიც 2017 წლის აპრილის ბოლომდე ტრენინგებს გაივლის.

ტრენინგებს მოწვეული ფსიქოლოგები და გამოცდილი სოციალური მუშაკები ჩაატარებენ.

ამინა ზანთარიას განცხადებით, საერთაშორისო გამოცდილებაზე და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით მომზადებული პროგრამა, ადგილობრივი სიტუაციისა და არსებული პრობლემების გათვალისწინებით შემუშავდა.

აღნიშნული პროექტი არ არის პირველი, რომელსაც გაერო, მათ შორის გაეროს ბავშვთა ფონდი დე-ფაქტო აფხაზეთში ახორციელებს. არაღიარებულ რესპუბლიკაში ამჟამად გაეროს განვითარების პროგრამის რამდენიმე პროექტიც მიმდინარეობს.

07.03.2017SputnikAbkhazia<http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20170307/1020553422/socialnyx-rabotnikov-dlya-zashhity-uyazvimyx-detej-i-semej-gotovyat-v-suxume.html>

„დაურ კოვეს შეხვედრა UNHCR-ის რეგიონალურ წარმომადგენელთან“

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყების ხელმძღვანელი, დაურ კოვე, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელს, სამხრეთ კავკასიაში, იოჰანეს ვან დერ კლაუსს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ ე.წ. მინისტრის მოადგილე კან ტანია, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი არტურ გაგულია და UNHCR-ის სოხუმის ოფისის ხელმძღვანელი აზიზ რახჯო.

იოჰანეს ვან დერ კლაუსმა ე.წ. საგარეო უწყების ხელმძღვანელს მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს ეძლევა საშუალება განახორციელოს თავისი საქმიანობა დე-ფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე. აგრეთვე, დაურ კოვეს გააცნო მიმდინარე წელს განსახორციელებელი პროექტების გეგმა.

გაეროს ლტოლვილთა სააგენტო დე-ფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე 1993 წლიდან ფუნქციონირებს და კონფლიქტისგან დაზარალებულებს უწევს დახმარებას.

20.03.2017 МИД РА <http://mfaapsny.org/>

„MPRI-ის 44 შეხვედრა“

21 მარტს ქალაქ გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში (MPRI) რიგით 44 შეხვედრა შედგა.

შეხვედრაზე განიხილეს საზღვრისპირა რაიონის უსაფრთხოების ასპექტებთან დაკავშირებული საკითხები.

დე-ფაქტო აფხაზეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ე.წ. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ არლანი. ჯგუფის შემადგენლობაში აგრეთვე იყვნენ, ე.წ. უშიშროების საბჭოს გალის რაიონული განყოფილების თავმჯდომარე თემურ შენგელია და ე.წ. საგარეო უწყების ხელმძღვანელის თანაშემწე გიორგი დუმავა.

შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ მორიგი 45-ე შეხვედრა შედგება მიმდინარე წლის 25 აპრილს.

21.03.2017 МИД РА <http://mfaapsny.org/>

„გენდერული ნიშნით ძალადობა, როგორც სოციალური პრობლემა“

18-19 მარტს ქ. ბიჭვინთაში „აფხაზეთის ქალთა ასოციაციის“ ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე „გენდერული ნიშნით ძალადობა როგორც სოციალური პრობლემა“.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ პრობლემაზე „აფხაზეთის ქალთა ასოციაციამ“ ჯერ კიდევ 2012 წელს ჩაატარა კვლევები და კანონპროექტიც კი მოამზადა „ოჯახური ძალადობის შესახებ“, მაგრამ ე.წ. დეპუტატებისგან მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს.

ორდღიან ტრენინგში, ქ. ბიჭვინთაში, მონაწილეობა მიიღეს ოკუპირებული აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა, ექიმებმა, ფსიქოლოგებმა, იურისტებმა, ჟურნალისტებმა და სტუდენტებმა. ტრენინგის მიზანს, ორგანიზატორების განცხადებით, გენდერული ძალადობის ბუნების, მიზეზების და შედეგების შესახებ მონაწილეების ინფორმირება წარმოადგენდა.

ტრენინგის ერთერთმა ორგანიზატორმა, ფსიქოლოგმა ელანა თარბამ, დამსწრეთ განუმარტა ტერმინის „გენდერული ძალადობა“ მნიშვნელობა და დაამატა, რომ უმეტეს წილად ძალადობის მსხვერპლნი ქალები და ბავშვები არიან. ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნა:

„აქ საუბარია არა მარტო ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს ცალკეულ პიროვნებაზე, რომელიც სოციუმის ნაწილია და ამიტომაც ძალადობა სოციალურ პრობლემას წარმოადგენს“.

ტრენინგის მონაწილეებმა აღიარეს დე-ფაქტო აფხაზეთში გენდერული ნიშნით ძალადობის პრობლემის არსებობა და ისაუბრეს გამომწვევ მიზეზებზე.

ფსიქოლოგების აზრით, მოქალაქეებს უჭირთ ამ პრობლემის აღიარება ეთნოკულტურული თვისებების, არაინფორმირებულობის და სხვა მიზეზების გამო. ამასთან ერთად, პრობლემის მიზეზად დასახელდა გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის ქმედითი მექანიზმების არარსებობა დე-ფაქტო აფხაზეთში.

„აფხაზეთის ქალთა ასოციაციის“ გამგეობის წევრმა, მარიეტა ტოპჩიანმა, სიტყვით გამოსვლისას თქვა:

„იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის პარლამენტში შემცირებულია დეპუტატების ქალების რაოდენობა, ძალიან ძნელია „გენდერული ძალადობის შესახებ“ კანონის მიღება. ახლა მთავარია ამ პრობლემისადმი ადამიანების დამოკიდებულება შეიცვალოს“.

დე-ფაქტო აფხაზეთში „გენდერული ძალადობის პრობლემის აქტუალიზაცია და მის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ღონისძიებების გატარება“ ხორციელდება COBERM-ს (ადრეული რეაგირების მექანიზმი) პროგრამის მხარდაჭერით.

20.03.2017 Эхо Кавказа<http://www.ekhokavkaza.com/a/28380613.html>

„ტუბერკულოზით დაავადებულთა პრობლემები აფხაზეთში“

ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, დე-ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკური ტუბდისპანსერის ექიმ-ფტიზიატრმა, აზა არზუმანიანმა, არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ისაუბრა.

ექიმმა განმარტა:

„იმის მიუხედავად, რომ გულრიფშის ტუბდისპანსერში სარემონტო სამუშაოები დასრულებულია, ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმებით დაავადებულ პაციენტთა სექტორიზება კვლავ შეუძლებელია, რაც შესაძლებელს ხდის პაციენტების დისპანსერის შიგნით დაავადების საშიშროებას“.

არზუმანიანმა დაამატა, რომ ტუბდისპანსერში ფუნქციონირებს სულ რამდენიმე პალატა და პაციენტებს ერთმანეთთან კონტაქტი აქვთ. არის ერთი საერთო აივანი, რაც შეუძლებელს ხდის ავადმყოფების სექტორიზებას.

„იმის მიუხედავად, რომ დისპანსერის შენობის შიგნით სარემონტო სამუშაოები დასრულებულია, პალატები კეთილმოწყობილია, აპარატურა შეძენილი და დამონტაჟებულია, ტუბდისპანსერის მთელი დატვირთვით ექსპლუატაციაში გაშვება მაინც ვერ ხერხდება წყალმომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო“–განაცხადა ექიმ-ფტიზიატრმა.

24.03.2017sputnik-abkhaziahttp://sputnik-abkhazia.ru/radio/20170324/1020675622/ftiziatr-dlya-normalnoj-raboty-dispansera-v-gulrypshe-nuzhna-voda.html?utm_source=https%3A%2F%2Fwww.facebook.com%2F&utm_medium=short_url&utm_content=dTxT&utm_campaign=URL_shortening

„აფხაზეთში საავიაციო ფრენების აღდგენა იგეგმება“

„ვოლგოგრადის ავიახაზების“ ავიაკომპანია „კომპასი“ 2017 წლის 6 მარტს გეგმავს 2014 წელს შეწყვეტილი ავიარეისების აღდგენას მოსკოვის მიმართულებით.

ბელგოროდის რეგიონის სიდიდით მეორე ქალაქის, ძველი ოსკოლის, საქალაქო ადმინისტრაციის პრეს-სამსახურის განცხადებით თვითმფრინავები იაკ-40 კვირაში სამჯერ შეასრულებს ავიარეისებს მოსკოვის მიმართულებით.

საქალაქო ადმინისტრაციის განცხადებით აგრეთვე, იგეგმება დე-ფაქტო აფხაზეთის მიმართულებით პირდაპირი ავიარეისების განხორციელება.

12.01.2017коммерсант.ru<http://www.kommersant.ru/doc/3189283>

„აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი მოსკოვში“

12-14 იანვარს დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. ეკონომის სამინისტროს დელეგაციამ, მოსკოვში, გაიდარის VIII ფორუმში მიიღო მონაწილეობა.

ე.წ. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით ფორუმში, რუსეთის ფედერაციის მაღალი რანგის სახელმწიფო მოსამსახურეებთან ერთად, მონაწილეობას ღებულობდნენ მსოფლიოს და რუსეთის წამყვანი ექსპერტები.

2017 წლის გაიდარის ფორუმზე განიხილებოდა ისეთი საკითხები, როგორცაა თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები, გამოწვევები და საფრთხეები, კონკურენცია, ახალი ტრენდები, ინვესტიციები და კონკურენცია.

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის, ბათალ თარბას, თქმით:

„აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს დელეგაცია ცდილობს სრულად მოიცვას ფორუმის ღონისძიება, რათა მაქსიმალურად გაეცნოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას ჩვენთვის აქტუალურ საკითხებში“.

დე-ფაქტო აფხაზეთის დელეგაციაში იმყოფებოდნენ-ე.წ. ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, ეკონომიკის მინისტრის მრჩეველი და რუსეთის ფედერაციაში დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. სავაჭრო წარმომადგენელი.

14.01.2017 министерство экономики РА <http://mineconom-ra.org/ru/news/>

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები სოხუმში“

9 მარტს დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა, გენადი გაგულიამ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ოფიციალური წარმომადგენელი გე ჩჰილი მიიღო, რომელიც აფხაზეთში ჩინელ მეწარმეებთან ერთად ჩავიდა.

შეხვედრა გაიმართა 2016 წელს, დე-ფაქტო აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ურთიერთთანამშრომლობის და გაცვლის საზოგადოება „რუსეთი-აღმოსავლეთ ევროპა-ცენტრალური აზია“ ხელმოწერილი შეთანხმების ფარგლებში.

შეხვედრაზე განიხილეს სავაჭრო-სამეწარმეო კავშირების, საბანკო სფეროს, ტურიზმის განვითარების საკითხები. აგრეთვე, ჩინური კაპიტალის დე-ფაქტო აფხაზეთის ეკონომიკაში ინვესტირების შესაძლებლობა.

ჩამოსული მეწარმეები წარმოადგენენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური სფეროს მაღალ ეშელონებს, რაც იმაზე მოწმობს, რომ დე-ფაქტო აფხაზეთისადმი ნდობა და ინტერესი იზრდება.

09.03.2017ТППИ РА <http://www.tppra.org/ru/novost/v-tpp-ra-sostoyalas-vstrecha-s-predprinmateljami-iz-kitaya>

„აფხაზეთის აკვატორიაში ქაფშიის რეწვა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს“

2016 წლის დეკემბრიდან 2017 წლის აპრილამდე დე-ფაქტო აფხაზეთის აკვატორიაში ქაფშიის (ხამსა) რეწვა მიმდინარეობს.

დე-ფაქტო აფხაზეთის ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის ე.წ. სახელმწიფო კომიტეტის კონტროლისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის, თემურ ძიბას, განცხადებით:

„2016-2017 წელს აფხაზეთის აკვატორიაში ქაფშიის რეწვა აფხაზეთის კანონმდებლობის დაცვით მიმდინარეობს. დღეისთვის გამოვლენილი არ არის თევზჭერის წესების და ლიცენზირების პირობების დარღვევის არცერთი ფაქტი. რეწვას მკაცრად აკონტროლებს რესპუბლიკის ეკოლოგიური სამსახური აფხაზეთის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს და რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის საზღვრის დაცვის სამმართველოს ტექნიკური მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ რეწვის პერიოდში ქაფშიის და სტავრიდას მოპოვების დასაშვები ნორმა არის 50 000 ტონა“.

თემურ ძიბამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის გარდა, არცერთ უცხოურ სახელმწიფოს აფხაზეთის აკვატორიაში თევზის მოპოვების კვოტა არ გააჩნია და დაამატა, რომ ისეთი თევზის სახეობის მოპოვება, როგორცაა კამბალა, ბარაბულკა, მერლანგი ნებადართულია მხოლოდ

ადგილობრივი თევზის მომპოვებელი კომპანიებისთვის და მხოლოდ ფსკერზე დასადგამი ბადეებით, რომლებიც არ აზიანებენ ზღვის ფსკერის ლანდშაფტს.

17.01.2017 aiaaira.ru/news/economy/timur_dzyba_khamsovaya_putina_v_akvatorii_abkhazii_prokhorodit_bez_narusheniy_zakonodatelstva/

„ქალაქ გაგრის მოსახლეობამ და ეკოლოგებმა საპროტესტო აქცია გამართეს“

ამ დღეებში ქ. გაგრის მოსახლეობამ და ეკოლოგებმა მიტინგი გამართეს, სადაც გააპროტესტეს თევზსაჭერი სეინერების მიერ სანაპიროსთან ახლოს თევზის მოპოვება. კერძოდ, საზოგადოების და ეკოლოგების შეშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ 16 სეინერი არღვევს 500 მეტრიან თევზის რეწვისთვის აკრძალულ საზღვარს და ეწევა აკვატორიიდან თევზის ამოღებას ტრალეებით, რომლებიც აზიანებენ ფსკერს და საფრთხეს უქმნიან ეკოსისტემას.

24.01.2017 [Эхо Кавказаhttp://www.ekhokavkaza.com/a/28255197.html](http://www.ekhokavkaza.com/a/28255197.html)

„აფხაზეთში ახალი მავნებელი პალმის გრძელცხვირა გაჩნდა“

ოკუპირებულ აფხაზეთში, კოლხური ბზის ალურას შემდეგ, რომელმაც მდინარე ფსოუს გასწვრივ არსებული ბზის ხეივნების 70 % გაანადგურა, ახალი მავნებელი-პალმის გრძელცხვირა გაჩნდა. აღნიშნული მავნებელის ჭუპრი პალმის ხეს შიგნიდან ანადგურებს.

აფხაზეთის დე-ფაქტო მეცნიერებათა აკადემიის, ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა რომან დბარმა ახალ მავნებელზე და ეკოლოგიური უბედურების მასშტაბებზე ისაუბრა. მისი თქმით:

„ბზის ალურას გამო, ჩვენ უკვე დავკარგეთ ბზის ნარგავები და ახლა პალმის გრძელცხვირა პალმის ხეების განადგურებით იმუქრება“.

ე.წ. ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის განცხადებით, შენდება ახალი ლაბორატორია საყინულეთი, რომელშიც მეცნიერები აპირებენ განადგურების პირას მყოფი მცენარეების (ბზის, პალმის და სხვა) თესლების -200C გაყინვას. მოცემულ ტემპერატურაზე მცენარის თესლი 10 წლით ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას.

რომან დბარი იმედოვნებს, რომ ამ პერიოდში, ახალი მავნებელი (ჩინური ხოჭო), რომელიც უკვე შემავებულია სოჭსა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, გაანადგურებს მავნებელ პეპლებს და კვლავ შესაძლებელი იქნება ბზის ბუჩქების დარგვა.

რაც შეეხება პალმის გრძელცხვირას, დბარის ინფორმაციით, მავნებელი ცხოვრობს პალმის ხის შიგნით და მის ერთ ჭუპრს შეუძლია სეზონის განმავლობაში ერთი ჯანმრთელი ხის განადგურება.

ე.წ. ეკოლოგიის ინსტიტუტის განცხადებით:

„სამწუხაროდ პალმის გრძელცხვირა არ არის ერთადერთი მავნებელი, რომელიც პალმის ხეებს ემუქრება. რესპუბლიკაში ასევე დაფიქსირებულია პალმის ურუგვაული პეპელა, რომელსაც აგრეთვე პალმის ალურას ეძახიან“

24.03.2017 [Sputnik-Abkhaziahttp://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20170324/1020671458/palma-za-sezon-appetit-vreditelya.html](http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20170324/1020671458/palma-za-sezon-appetit-vreditelya.html)

27 მარტიდან აფხაზეთში პასპორტების შეცვლის პროცესი განახლდება“

23 მარტს დე-ფაქტო აფხაზეთის ტელევიზიით გადაიცა ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრის, ასლან კობახიას, პრეს-კონფერენცია, სადაც ე.წ. მინისტრი აცხადებს, რომ ა.წ. 27 მარტიდან, დე-ფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე, განახლდება პასპორტების შეცვლის პროცესი, რომელიც დროებით შეჩერებული იყო ე.წ. საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას. მაშინვე ვადაგასული პასპორტების მოქმედების ვადა 5 აპრილამდე გაგრძელდა.

ასლან კობახიას განცხადებით:

„ერთი დღის განმავლობაში, მთელი აფხაზეთის მასშტაბით, ჩვენ შეგვიძლია დავამუშავოთ და გავცეთ აფხაზეთის მოქალაქის 500 პასპორტი და ერთი თვის განმავლობაში კი 10-12 ათასი.“

ასლან კობახიამ დაამატა, რომ ერთი წლის განმავლობაში გაცემული პასპორტების რაოდენობა სავარაუდოდ 100 000 შეადგენს.

პრეს-კონფერენციის ბოლოს კობახიამ აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში დაიწყება „ბინადრობის ნებართვის“ გაცემა, რაც მიცემს დე-ფაქტო აფხაზეთის მკვიდრთ ლეგალურად ცხოვრების საშუალებას.

23.03.2017 *Абхазия-Информ* <http://abkhazinform.com/item/5543-s-27-marta-vozobnovlyatsya-protsess-obmena-pasportov-grazhdanina-respubliki-abkhaziya>

„გალის რაიონის მცხოვრებთა სამართლებრივი სტატუსი დადგინდა“

„აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ აფხაზეთის რესპუბლიკის კანონის 10 მუხლის თანახმად (**მიღებული 2016 წელს 26 იანვარი №4018-с-V**) მინისტრთა კაბინეტის მიერ ერთხმად იქნა მიღებული დადგენილება-ბინადრობის ნებართვის დოკუმენტის ბლანკის ფორმის, მისი აღწერილობის, გაცემის ან აფხაზეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვის ვადის გაგრძელების და აფხაზეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვის მისაღებად ან ვადის გასაგრძელებლად განცხადების ფორმის შესახებ.“

ამავე დადგენილებით, დე-ფაქტო შსს უფლებამოსილია განახორციელოს ოკუპირებული აფხაზეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია. კერძოდ, დაამტკიცებს აფხაზეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვის გაცემის ან ვადის გაგრძელების ინსტრუქციას და 2017 წლის 17 აპრილიდან არალიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვის გაცემას შეუდგება.

აგრეთვე, დადგენილებაში ნათქვამია, „აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში წარსადგენად, დაინტერესებულ ორგანოებთან ორთვიან ვადაში მომზადდეს და შეთანხმდეს, უცხო ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების აფხაზეთის რესპუბლიკაში მუდმივი ცხოვრების შესახებ დამადასტურებელი შეტყობინების მიწოდების პროცედურა და ფორმა. დადგინდეს, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვის მფლობელებს, აფხაზეთის რესპუბლიკაში არანაკლებ 10 წლის სამუშაო სტაჟის არსებობის შემთხვევაში, აქვთ უფლება მიიღონ შრომითი პენსია.“

ამავე დადგენილებით ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა, „აფხაზეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვის გამოყენებით რუსეთის ფედერაციაში შესვლის და რუსეთის ფედერაციიდან გასვლის შესაძლებლობის თაობაზე დაიწყოს რუსულ მხარესთან კონსულტაციები“

30.03.2017 *КАБМИНРА* <http://www.km-ra.org/index.php/ru/news/item/941-proshlo-ocherednoe-zasedanie-kabinetaministrov-respubliki-abkhaziya>

31.03.2017